არჩევითი საგნები - 2020-2021

არჩევით სალექციო სასწავლო კურსებში ჯგუფი გაიხსნება არანაკლებ 5 მსურველის არსებობის შემთხვევაში, ხოლო კურსებში - *საკრავი არჩევით, კომპოზიციის საფუძვლები, ჯაზის კომპოზიცია, ჯაზის ფორტეპიანო* - არანაკლებ 3 მსურველის არსებობის შემთხვევაში.

არჩევითი საგნის სახელწოდება	შენიშვნა/ წინაპირობა	სთ.	სემესტრის რაოდენობა	კრ.	ინფორმაცია არჩევითი კურსის შესახებ
აკუსტ. მუს. ჩაწერის ტექნიკა	პირველი 10 ადგილის დაკავების შემდეგ ჯგუფი დაიხურება	30	2	6	სტუდენტი შეისწავლის აკუსტიკური ინსტრუმენტებისა და ვოკალური მუსიკის ჩაწერის ტექნოლოგიებს; სტუდიური აპარატურისა და ტექნიკის გაცნობა/გამოყენებას, სტუდიაში მუშაობის უნარების გამომუშავებას: ჩაწერა, რედაქტირება, მიქსინგი და მასტერინგი; ვიდეო და მულტიპლიკაციური ფილმების გახმოვანებას.
არგენტინული სოციალური ტანგო - ისტორია, თეორია და კომპოზიციის პრინციპები		15	1	3	სტუდენტს კურსის გავლის შედეგად წარმოდგენა შეექმნება ტანგოს ისტორიაზე მისი წარმოშობიდან დღემდე; გაეცნობა ტანგოს მუსიკალური კომპოზიციის მახასიათებლებს, სხვადასხვა ორკესტრების მოღვაწეობას და მათ სტილურ განსხვავებებს.
დასარტყამი საკრავების ფუნქციები, გამოხატვის ხერხები, აკუსტიკა და ნოტაცია		15	1	3	სტუდენტი გაეცნობა დასარტყამი ინსტრუმენტების სპეციფიკას, მათ შესაძლო ფუნქციებს, გამოყენების ხერხებს, აკუსტიკასა და ნოტაციას. მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე საკუთარი პროფესიული ინტერესების მიხედვით სტუდენტი შეძლებს განაზოგადოს და გამოიყენოს იგი პრაქტიკულ საქმიანობაში.

ეთნოლოგია		30	1	3	სტუდენტი შეიძენს თეორიულ ცოდნას ეთნოლოგიის შესახებ, ასევე გაიღრმავებს ცოდნას ზოგადად კულტურის სოციოლოგიაში, რომლის ძირითად მიმართულებებსა და წარმომადგენლებსაც გაეცნობა კურსის მანძილზე.
ელექტროაკუსტიკური კომპოზიცია	წინაპირობა - "შესავალი ელ. აკუსტიკურ მუსიკაში" კურსის გავლა, გარდა კომპოზიტორებისა	30	1	6	სტუდენტი დაეუფლება თანამედროვე ციფრული აუდიოტექნიკის და კომპიუტერული მუსიკის ტექნიკურ საფუძვლებს, ჩაუღრმავდება დღევანდელი მუსიკალური ესთეტიკის ასპექტებს, პრობლემატიკას და ტექნოლოგიურ პერსპექტივებს, გაერკვევა ელექტროაკუსტიკური მუსიკის კომპოზიციურ და ანალიტიკურ ასპექტებში. ასევე შეძლებს პრაქტიკულ შემოქმედებით სიტუაციაში გამოიყენოს შეძენილი თეორიული ცოდნა, ინდივიდუალურად ან ჯგუფთან ერთად დაგეგმოს და სცენაზე განახორციელოს კომპლექსური შემოქმედებითი პროექტი.
თანამედროვე მუსიკის ანსამბლი		60	2	7	სტუდენტები წმინდა საშემსრულებლო კუთხით გაეცნობიან თანამედროვე მუსიკას. სტუდენტები გაერთიანდებიან სხვადასხვა შემადგენლობის ანსამბლებში და მიიღებენ მონაწილეობას სემესტრში მინიმუმ ერთხელ, სურვილის შემთხვევაში კი - რამდენიმე თანამედროვე ნაწარმოების შესრულებაში, რაც მოიცავს რეპეტიციებსა და საკონცერტო გამოსვლას. სემესტრში ერთხელ ჩატარდება ერთი კონცერტი, რომელზეც შესრულდება შესწავლილი ნაწარმოებები.

კომპიუტერული გრაფიკის საფუძვლები	**რეკომენდებულია ყველა სპეციალობის სტუდენტისთვის, განსაკუთრებით მუს.ჟურნალისტების, მუსმცოდნეებისა და კომპოზიტორებისთვის**	**30**	**1**	**3**	პროგრამა Adobe Photoshop-ის მეშვეობით სტუდენტი შეისწავლის გრაფიკული საშუალებების გამოყენებას მედია სივრცეში, მიიღებს რედაქტირების, რასტრული გრაფიკის, ფოტოებთან, კოლაჟებთან, ილუსტრაციებთან მუშაობის უნარებს, რაც შეიძლება გამოიყენოს მოხსენების, სტატიის, მულტიმედია-პრეზენტაციის, ვებ-გვერდის გაფორმება/შექმნისას.
კომპოზიციის თეორია		**15**	**1**	**3**	სტუდენტი შეისწავლის დროსა და სივრცეში მუსიკალური მასალის განაწილებას, სხვადასხვა თანამედროვე საკომპოზიციო ტეკნიკების შედარებას, ფორმის რიტმულ მონახაზს, მუსიკის შექმნის სხვადასხვა პრინციპს.
კომპოზიციის საფუძვლები		**30**	**2**	**4**	სტუდენტი შეიძენს გარკვეულ წარმოდგენას საკომპოზიტორო ტექნიკასა და კომპოზიტორის ე. წ. „სამზარეულოზე“. პრაქტიკული მუშაობის გზით, გამოუმუშავდება საჭირო უნარ-ჩვევები, რათა დამოუკიდებლად შეძლოს მარტივი კომპოზიციის შეთხზვა სხვადასხვა ჟანრსა და სტილში.
კომუნიკაციის, პრეზენტაციის და დისკუსიის ტექნიკები		**30**	**1**	**3**	კურსის გავლის შედეგად სტუდენტს განუვითარდება კომუნიკაციის, პრეზენტაციის, გუნდური მუშაობის და დისკუსიის აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული უნარები; სტუდენტი შეისწავლის კონფლიქტის მართვისა და თავიდან აცილების ხერხებს.

კულტუროლოგია		**30**	**1**	**3**	სტუდენტი მიიღებს გარკვეულ ცოდნას კულტუროლოგიის სფეროში. კურსის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმობა კულტურის ფილოსოფიის, თეორიისა და ისტორიის საკითხების გაშუქებას. მთავარი ყურადღება მიექცევა მსოფლიო მუსიკალური კულტურის საკითხების განხილვას.
ლიტერატურული ტექსტის ადაპტაცია ოპერაში		**30**	**1**	**3**	სტუდენტი გამოიმუშავებს მხატვრული ტექსტის კითხვის ანალიზურ მეთოდს, შეძლებს დაინახოს ტექსტის საზრისი, მისი (მთავარი და მეორეხარისხოვანი) პერსონაჟების ადგილი და დანიშნულება; შეისწავლის ტექსტის სეგმენტიზაციის პრინციპს და პირიქით - სეგმენტების კვლავ ერთ მთლიანობად შეკვრის ხერხს. ამის საფუძველზე სტუდენტი შეძლებს განიხილოს ამ ტექსტების მიხედვით შექმნილი საოპერო ლიბრეტოები მუსიკალური დრამატურგიის თავისებურების გათვალისწინებით.
ლიტურგიკა		**15**	**1**	**3**	სტუდენტი გაეცნობა ღვთისმსახურების ზოგად ასპექტებს, ცალკეული მსახურების შექმნის ისტორიას, მის სტრუქტურას, საგალობო მონაკვეთების ღვთისმსახურებაში ჩართვის კანონზომიერებას, მათ ლიტურგიკულ ფუნქციას და მნიშვნელობას.
მუსიკალური თეატრის ისტორია	**გარდა მუსმცოდნეებისა და ჟურნალისტებისა**	**30**	**1**	**4**	სტუდენტი შეისწავლის მუს. თეატრის ისტორიას და მის სპეციფიკურ ნიშნებს. შეძლებს გაამთლიანოს მუსიკის ისტორიის კურსებში მუსიკალურ-თეატრალურ ჟანრებთან და სტილებთან მიმართებაში მიღებული ცოდნა. ლექცია-სემინარებზე მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა ნაწარმოებების ვიდეო ჩვენებებს სხვადასხვა ინტერპრეტაციით და მათ განხილვას.

მუსიკალური ჟესტი და მხატვრული შინაარსი (თეორია და პრაქტიკა)		**30**	**2**	**3**	საგანი განკუთვნილია ყველა სპეციალობის სტუდენტთათვის. სტუდენტი დაეუფლება მუსიკის ექსპრესიული შინაარსის გაცნობიერების მეთოდებს და შემოქმედებით პრაქტიკაში მათი გამოყენების უნარ-ჩვევებს. იგი აგრეთვე გაეცნობა მუსიკალური გამომსახველობის და მუსიკის ზემოქმედების თეორიებს, დაფუძნებულს ჟესტური ურთიერთობის ანალიზზე. კურსი ეყრდნობა თანამედროვე გამოკვლევებს მუსიკის ფსიქოლოგიისა და ანალიზის სფეროში.
მუსიკის სოციოლოგია		**15**	**1**	**3**	სტუდენტი მიიღებს შესაბამის ცოდნას მუსიკის სოციოლოგიაში. სტუდენტი გაეცნობა მუსიკის სოციოლოგიის ძირითად მიმართულებებს, მის მნიშვნელოვან წარმომადგენლებს. კურსი მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ მუშაობას.
პოლიფონია (ქართული პროფესიული მუსიკის მასალაზე)	**გარდა მუსმცოდნეებისა და კომპოზიტორებისა; წინაპირობა - პოლიფონიის კურსის გავლა**	**15**	**1**	**3**	სტუდენტი გაეცნობა ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაში პოლიფონიური ფორმებისა და ჟანრების, ფაქტურის ტიპებისა და განვითარების ხერხების, კონტრაპუნქტული ტექნიკის გამოვლენის შემთხვევებს ეროვნული ხალხური სიმღერებისა და საგალობლების და მსოფლიო მუსიკის პოლიფონიის ტრადიციების კონტექსტში.
ჟურნალისტიკის საფუძვლები	**გარდა მუსმცოდნეებისა და ჟურნალისტებისა**	**15**	**1**	**3**	სტუდენტი შეისწავლის ჟურნალისტური მასალის ლიტერატურულ-სტილისტურ-გრამატიკული რედაქტირების ძირითად საკითხებს, გამოიმუშავებს მასალის შეფასების, მისი ხარისხის კონტროლის უნარს, გაეცნობა მასალის რედაქტირების დროს ტექსტის სწორების პროფესიულ, საზოგადოებრივ, ეთიკურ-მორალურ ასპექტებს.

საგუნდო წერის თანამ. ტექნიკა		15	1	3	სტუდენტი დაეუფლება თანამედროვე საგუნდო მუსიკის წერის თავისებურებებს - ხმების სივრცეში გადანაწილების, სამეტყველო ტექსტისა და მუსიკის ურთიერთობის თუ ტექნიკურ-კომპოზიციური თვალსაზრისით. სტუდენტი შეძლებს თანამედროვე საგუნდო მუსიკის პროფესიულ დონეზე შესრულებას, მოცემული ნაწარმოების ყველა თავისებურების გათვალისწინებით.
საკრავი არჩევით - ორგანი	წინაპირობა - მხოლოდ პიანისტების, გუნდის დირიჟორების, კომპოზიტორებისა და მუსმცოდნეებისთვის	30	2	5	სტუდენტი შეისწავლის აღნიშნული საკრავის საბაზისო საშემსრულებლო ხერხებს და კურსის ბოლოს შეძლებს მარტივი ფორმის ნაწარმოების შესრულებას.
სპორტი	3 ჯგუფი (სულ არაუმეტეს 30 სტუდენტისა)	30	2	1	სტუდენტი გაიუმჯობესებს ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობებს (მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, შაში, ტრენაჟორები, სარბენი ბილიკი და სხვ.)
ტემბრები და მუს.თეატრი		15	1	3	სტუდენტი შეისწავლის ტემბრის წარმოქმნის ფენომენს და მის გენეზისს, ასევე ტემბრის ფუნქციას მუსიკაში და თანამედროვე ხელოვნების სხვადასხვა დარგში, მუსიკალური თეატრის სპეციფიკას და ნოტაციას.
უცხო ენა - გერმანული	გარდა ვოკალისტებისა	60	2	4	სტუდენტი შეიძენს გერმანულ ენაზე მართლწერისა და სწორად მეტყველების საფუძვლიან ცოდნას, გამოიმუშავებს სამეტყველო აქტივობისა და აუდირების, ტექსტების თარგმნის და ლექსიკონზე მუშაობის უნარ-ჩვევებს.

უცხო ენა - ინგლისური		60	2	4	სტუდენტს შეიძენს ინგლისურ ენაზე მართლწერისა და სწორად მეტყველების საფუძვლიან ცოდნას, გამოიმუშავებს სამეტყველო აქტივობისა და აუდირების, ტექსტების თარგმნის და ლექსიკონზე მუშაობის უნარ-ჩვევებს.
უცხო ენა - იტალიური	გარდა ვოკალისტებისა	60	2	4	სტუდენტი შეისწავლის იტალიურ ენას, რაც დაეხმარება ამ ენაზე დაწერილი ტექსტების სწორად გაგებასა და გამოთქმაში. სწავლა ხორციელდება კომპლექსური მეთოდით - ვერბალური, აუდიო.
ქართული საეკლესიო მუსიკის ისტორია		15	1	3	სტუდენტი გაიღრმავებს ცოდნას ქართული საეკლესიო გალობის ისტორიისა და მუსიკალურ-თეორიულ სფეროში. კურსით გათვალისწინებულია საეკლესიო გალობის ლიტურგიკულ-მუსიკალურ ასპექტებში ჩაღრმავება - ქრისტიანული ღვთისმსახურების წარმოშობის, ისტორიული განვითარების, საღვთისმეტყველო შინაარსის, რიტუალების მუსიკალური ნაწილისა და საღვთისმსახურო შინაარსის ურთიერთმიმართების კუთხით.
შესავალი ელ.აკუსტ. მუსიკაში	გარდა ტექნოლოგებისა	30	1	5	სტუდენტი გაიფართოვებს წარმოდგენას მუსიკის ცნებაზე, ეზიარება დღევანდელ მუსიკალურ ესთეტიკასა და ტექნოლოგიას, შეიძენს ამ სფეროს ინფორმაციულ და ესთეტიკურ ბაზას და საკმარის ცოდნას კომპიუტერულ მედიაში გზის გასაკვლევად.
შესავალი მუსიკის ფილოსოფიაში		15	1	3	კურსის გავლის შედეგად სტუდენტი გაეცნობა ანტიკური, შუა საუკუნეების, ახალი და უახლოესი დროის ფილოსოფიის ძირითად თავისებურებებს, წარმომადგენლებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მუსიკალური ხელოვნების ჩამოყალიბებაში ანტიკური პერიოდიდან დღემდე.

ჯაზის ,,სტანდარტები" - შესრულების თავისებურებები		30	2	4	სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტები შეიძენენ ცოდნას ჯაზის ,,სტანდარტების" (თემების) ჰარმონიის, სტრუქტურის თავისებურებების შესახებ, შეძლებენ ამ სტანდარტების შესრულებას განსხვავებულ სტილში.
ჯაზის კომპოზიცია		15	1	3	კურსის გავლის შედეგად სტუდენტი გაეცნობა ჯაზის ხელოვნების სხვადასხვა მიმართულების კომპოზიციების აღნაგობის სტილურ მახასიათებლებს.
ჯაზის ფორტეპიანო	წინაპირობა - ფორტეპიანოს საბაზისო დონეზე ფლობა	30	2	4	სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტები შეიძენენ ფორტეპიანოზე ჯაზური იმპროვიზაციის ელემენტარულ დონეზე დაკვრისათვის აუცილებელ ცოდნას და პრაქტიკულ ჩვევებს.
ჯაზის სახელოსნო		30	1	5	სტუდენტი საფუძვლიანად შეისწავლის ჯაზური მუსიკის საწყისებს, მის განვითარებას და განსაკუთრებულობას რიტმიკის თვალსაზრისით. კურსი მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ მუშაობას.

სტუდენტს შეუძლია ასევე არჩევით საგნად გაიაროს ნებისმიერი სალექციო სასწავლო კურსი, რომელიც არ არის მისი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და ისწავლება კონსერვატორიაში. არჩევითი საგნისთვის განკუთვნილი კრედიტების მოპოვება შესაძლებელია ასევე საშემსრულებლო/სამეცნიერო პროექტის განხორციელების გზით.